საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030149016423820

№ 01-101/ო **16 / მარტი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევათა მართვის კლინიკური ჯგუფის შექმნის შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას **ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)** შემთხვევათა მართვის კლინიკური ჯგუფი (შემდგომში - კლინიკური ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თენგიზ ცერცვაძე - სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის“ გენერალური დირექტორი,კლინიკური ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) მარინა ეზუგბაია - სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში (სამედიცინო დირექტორი), კლინიკური ჯგუფის წევრი;

გ) ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი, კლინიკური ჯგუფის წევრი;

დ) ელზა ვაშაკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორის მოადგილე, კლინიკური ჯგუფის წევრი;

ე) დავით ბარლიანი - სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორი, კლინიკური ჯგუფის წევრი;

ვ) კახაბერ იშხნელი - შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკის“ დირექტორის მოადგილე, კლინიკური ჯგუფის წევრი;

ზ) ლევან გოფოძე - შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი, კლინიკური ჯგუფის წევრი;

თ) დარეჯან კანჯარაძე - შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის“კლინიკური დირექტორი, კლინიკური ჯგუფის წევრი.

2. კლინიკური ჯგუფის ძირითადი ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევათა კლინიკური მართვის კოორდინაცია;

ბ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევათა მართვის შედეგების ანალიზი;

გ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) შემუშავება და წარდგენა დასამტკიცებლად;

დ) ექიმთა პერიოდული ტრენინგების უზრუნველყოფა.

3. კლინიკური ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ და საქმიანობას წარმართავს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

4. კლინიკური ჯგუფი თავისი საქმიანობის შედეგებზე ანგარიშვალდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინაშე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე